ეროვნული
ბიბლიოთეკა

2/40/2

ჟიდრეები

1940 წ.

№ 2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფილიალი მეთხუთმეტე

პიონერი

ს.ა.ძ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ს.ა.ძ. ზანსახკომის ერთთვიური ჟურნალი

თებერვალი 1940 წ. № 2

„ПИОНЕРИ“ журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии

ბეჭდილია „კომუნისტი“, რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯრიბოედოვის ქ. № 34. ტელ. 3—02—61.

შინაარსი

		გვ.
1.	ყველაზე მძლავრი არმია, —წერილი	1
2.	სანდრო ეულენტი, —მესაზღვრე (ლექსი)	3
3.	დავით შამათავა, —თებერვლის დღეები (მოთხრობა)	4
4.	ჭიორგი კაბახიძე, —ჩვენი ტანკი (ლექსი)	8
5.	სერგო ორჯონიკიძე. —(წერილი)	9
6.	გვირული დრეიფი. — (წერილი)	10
7.	ა. დულარიძე, —სახელოვანი წინამორბედი (წერილი)	12
8.	არჩი ფინეი და მ. მაღსენი, —არწივის ძმა, თარგმანი ელ—ისა	13
9.	თ. შავერზაშვილი, —არმიელები მოდიან (ნოტი)	გარეკანის მე-3 გვ.
10.	გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება ეკუთვნის მხატვ. ი. ჭოჭიაშვილს.

ყდის მხატვრობა შესრულებულია მხატვ. ივ. ჯაფარშვილისა და ოლეგ დოლგოვის მიერ.

პასუხისმგებელი რედაქტორი—ან. დულარიძე პასუხისმგებელი მდივანი—ნ. ხირბილაძე

გადაეცა წარმოებას 11/III 1940 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/III 1940 წ.

ქაღალდის ზომა 62×92
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9½×14

მთავლიტის რეფერენდუმი № 2337 შეკვ. № 352 ტირაჟი 17.350. პოლიგრაფკომბინატის სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე მძლავრი არმია

ომი არ უნდოდა ხალხს, არ უნდოდა მთავრობას. მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო საშინელი სისხლისღვრა, ჩამოვარდნილიყო ზავი, მშვიდობა.

ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ წინადადებით მამართა გერმანიას დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება და მართლაც, ხუთ დეკემბერს, 1917 წელს, დადებული იქნა დროებითი ზავი საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

მაგრამ მათ მალე დაარღვიეს ეს დროებითი ზავი. და გადმოვიდნენ შეტევაზე.

ისინი სწრაფად წამოვიდნენ წინ, დაიპყრეს რა უზარმაზარი ტერიტორია, მიუახლოვდნენ პეტროგრადს. დიდი დაბრკოლება არ ეღობებოდათ მათ გზაზე. მეფის ძველი, დაღლილი არმია ვერ უმკლავდებოდა მტერს.

ყოველდღე, ყოველსაათობით იზრდებოდა საშიშროება. დაყოვნება შეუძლებელი იყო. უნდა გამონახულიყო რაიმე საშუალება იერიშების შესაჩერებლად, მტრების უკუსაგდებად.

„სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია"—გადმოისროლა მოწოდება პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ.

ამ ამბებმა ქვეყანაში მძლავრი რევოლუციური აღტკინება გამოიწვია. მუშებმა იწყეს წითელი არმიის ნაწილების გაძლიერებული შედგენა. ახალი არმიის ახალგაზრდა რაზმები გმირულად იგერიებდნენ ყაჩაღთა შემოტევებს. მალე ნარვასა და პსკოვთან გზა გადაუღობეს ოკუპანტებს, შეაჩერეს მათი წინსვლა.

ოცდასამ თებერვალს, 1918 წელს, უკუგდებულ იქნა ინტერვენტთა ჯარები. ეს შესანიშნავი დღე—ოცდასამი თებერვალი—გახდა ახალგაზრდა წითელი არმიის დაბადების დღედ.

მას შემდეგ წითელმა არმიამ ბევრი სასწაული მოახდინა, არაერთხელ დაამარცხა მრავალრიცხოვანი მტერი. სამოქალაქო ომის ისტორია აღსავსეა მრავალი ამაღელვებელი ამბავით. წითელი არმიის ლეგენდარული გმირები თავიანთი, ზღაპრული გოლიათური საქმეებით ყველას აკვიფრებდნენ.

მრავალი გენერლის ცდა, მრავალი იმპერიალისტური ქვეყნის ცდა, ლახვარი ჩაეცათ სოციალიზმის სამშობლოსათვის, შეუბრალებლად იქნა განადგურებული. მტერთა გეგმები დაიმსხვრა: ძლევამოსილმა წითელმა არმიამ გმირულად მოიგერია ყველა თავდასხმა, ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა გამარჯვებული გაძოვიდა სამოქალაქო ომიდან.

გაცოფებულმა მტრებმა კვლავ მრავალჯერ სცადეს გადმოელახათ საზღვრები, შემოჭრილიყვნენ ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე. მაგრამ მათ ვერასოდეს ვერ შესძლეს ეს. სულ ახლო წარსულში იაპონელები თავს დაესხნენ ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის შორეული აღმოსავლეთის საზღვრებს. მათ პირველად გადმოლახეს მდინარე ამურნა და დანანაკდნენ საბჭოთა მიწაწყალზე. მაგრამ მალე გმირულმა წითელმა არმიამ ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ დამფრთხალი მტერი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. არცერთი გოჯი ჩვენი მიწისა არ დაუტოვა მტერს წითელმა არმიამ.

შარშან, მოძმე დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს, წითელმა ჯარმა კვლავ იმკვიათთ სასწაულები მოახდინა. მოკლე დროში დამარცხებული და განადგურებული იქნა პოლონელი პანების შეიარაღებული ურდოები. განთავისუფლებული ხალხი დიდი ზეიმით შეხვდა გმირულ არმიას.

არ გასულიყო რამდენიმე კვირაც კი, და თეთრფინელებმა ომი გააჩაღეს ჩვენს ქვეყანასთან. მაგრამ ომის გამჩაღებლებმა მწარე გაკვეთილები იგემეს. ჩვენი წითელი ჯარი გადავიდა საზღვარზე, წავიდა წინ, მტრის მიწაწყალზე, დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილები...

თეთრფინელებთან ბრძოლაში თავი ისახელეს ჩვენი სამშობლოს მამაცმა შვილებმა. ბევრმა მათგანმა პირდაპირ საოცარი გამბედაობით, საოცარი წარმატებით შეუტია მტერს, გაანადგურა თეთრფინელთა ხროვები.

გავიხსენოთ, მაგალითად, ერთი ტანკის ეკიპაჟის ამბავი. ამ ტანკს საბჭოთა კავშირის გმირი, ამხანაგი ლარჩენკო, მართავდა.

ბევრი და ბევრი დაბრკოლება ხვდებოდა ტანკს. მაგრამ იგი მაინც წინ და წინ მიიწევდა, ამსხვრევდა თავის გზაზე პატარა და დიდრონ ხეებს, გადადიოდა ღრმა მდინარეებზე, ტოტოა თხრილებზე, თავბრუდამხვევი სისწრაფით აღიდგა სიმაღლეებზე.

აი, ტანკი მდინარეს მიადგა. აქ ხიდი არ არის, თეთრებს აუფეთქებიათ. ტანკი გადაეშვა წყალში და უმალ მეორე ნაპირას გავიდა. წავიდა წინ, გადაიარა რამდენიმე არხი, გადაიარა ტანკსაწინააღმდეგო თხრილები...

უკვე ტანკის წინ შავი კოლოფი გამოჩნდა. ეს ნაღმია. შეუძლებელია გვერდის ავლა, უკან დახევაც შეუძლებელია! მაგრამ ეკიპაჟი არ დაიბნა. მძღოლმა თავბრუდამხვევი სისწრაფე განავითარა. ტანკმა გრიალით გადაუარა კოლოფს. ნაღმი აფეთქდა, აფეთქდა... მაგრამ იმ დროს, როცა მას უკვე გადაუარეს.

მალე ყოველი მხრიდან ტყვიების წვიმა წამოვიდა. უშენდნენ ტანკის კორპუსს, ქვემეხის კოჭკის ჯავშანს...

—ყველა კოჭკიდან ცეცხლი სამშობლოს მტრებს! გასცა ბრძანება ლეიტენანტმა გრუზდევმა, ლეგენდარული ტანკის მეთაურმა.

გამანადგურებელი ცეცხლით თავზარდაცემული მტრები გაიფანტნენ, ტყესაკენ გაიქცნენ.

კვლავ განაგრძო გზა წინ, ტყე-ტყე, ფოლადის ვეშაპმა. მას სხვა ტანკებიც მიჰყვნენ. ისმოდა გუგუნი, ხეების მტვრევის ხმა, ტკაცანი... მოულოდნელად ახალი დაბრკოლება დადგა წინ: თორმეტი მეტრის სიგრძისა და ექვსი მეტრის სიღრმის თხრილი. მასზე გადახტომა წარმოუდგენელია. ტანკებმა გვერდი იბრუნეს და ეცაცებო კლდეებით, სიმაღლეებით გაეშურნენ წინ, სოფლისაკენ.

აჰა, მიაღწიეს სოფელსაც. მაგრამ რა ამბავია სოფელში! პირდაპირ შემაძრწუნებელი სურათია. იწვის სახლები, იწვის ყველაფერი. ქუჩებში დარბიან ქათმები, კატები, ყმუიან ძაღლები... მხოლოდ ერთი სახლი დგას განმარტოებით, სახლი, რომელსაც ცეცხლი არ შეჰხებია.

მებრძოლები გამოვიდნენ ტანკებიდან. ზოგი ფეხსაცმელს იცვლის, ზოგი ხელპირს იბანს. ანაზღაურად ტყვიამფრქვევის კაკანი ატყდა.. აზუზუნდა ტყვიები.

—ტანკებში!—გაისმა ბრძანება.

ფრიადოსანმა მემეზნემ ევგენი ლუპოვმა ისროლა მხოლოდ ერთი ჭურვი. ჭურვი მოხვდა სახლს, აფეთქდა. მყისვე სახლის გარშემო აფეთქეს ნაღმებმაც. ჰაერში კორიანტელი ავარდა. თურმე, ეს ნაღმები თეთრფინელებს შემოეწყოთ სახლის გარშემო. მათ წითლების დაღუპვა უნდოდათ. მაგრამ მოხდა კი პირიქით: თვითვე აფეთქდნენ, თვითვე დაიღუპნენ საკუთარი ხიფანგისაგან.

ისევ და ისევ განაგრძეს გზა ტანკებმა, განაგრძეს ტყე-ტყე. ცოტახნის მერე ტყე გათავდა. წინ გადაეშალა ლოდებით მოფენილი მინდორი. „მორიგი ხიფანგი"—გაიფიქრა მძღოლმა ლარჩენკომ.

გავიდა თუ არა ტანკი მინდორზე, მაშინვე ეტეხეს მას სროლა. მტრის ტყვიამ გატეხა სათვალთვალო ჭუჭრუტანის შუშა. შუშამ გამქვირვალობა დაკარგა.

ახლა უკვე ბრმად მიიწევს ტანკი წინ, წამყვანი ვერაფერს ვერ ხედავს. ყოველი მხრიდან ფეთქდება ნაღმები, გამაყრუებელი გრიალია. აი მანქანა შეირყა. ლარჩენკოს ფეხი გადმოუვარდა პედალიდან. ამ წამსვე თვირების ჭურვმა გაარღვია ჯავშანი, დაზიანა საკე და ფეხი დაუმსხვრია ლარჩენკოს.

ტანკი დადგა.

—ვიბრძოლოთ უკანასკნელ ჭურვამდე!—გასცა ბრძანება მეთაურმა.

მეტყვიამფრქვეველ ბორის ვოლკი გადმოხტა ტანკიდან, რომ ხელყუმბარები ესროლა მტრებისათვის.

მალე მეორე ჭურვი მოხვდა ტანკს. დაზიანა ბენზინის სადენი. ბენზინი იღვრება.

—გაამლიერეთ ცეცხლი კოშკებიდან! ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე!—ბრძანებს მეთაური.—სტალინისათვის, სამშობლოსათვის!—ეკიპაჟი მღერის „ინტერნაციონალს".

კვლავ მარჯვედ ისვრის ევგენი ლუპოვი. სროლისთანავე მოპირდაპირე მხრიდან ავარდება შავი კვამლი, კორიანტელი.

ბოლოს თეთრფინელები დადუმდნენ. მაგრამ საიდანღაც დაეცა ტანკს შრაპნელი. ბენზინი კი იღვრება და იღვრება. ტანკში გაჩერება საშიშია. მეთაური ბრძანებს ეკიპაჟმა დატოვოს მანქანა. სულ ბოლოს თვითონ გამოდის მანქანიდან. მას ფინელი სნაიპერის ტყვია ჭრის. მაგრამ იგი არ კარგავს სიდინჯეს, ყრის კვამლის კოჭებს. კვამლის საფარში გახეული გმირები ტყეში შედიან. მალე ქვეითი ჯარის ნაწილებიც მოდიან. ბრძოლა გრძელდება...

აუარებელი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება წითელი არმიის ცხოვრებიდან. არსად მაოფლიოში არ არის ისეთი მძლავრი, ორგანიზებული, ხალხისათვის თავდადებული არმია, როგორიც ჩვენი წითელი არმიაა. მუდამ მზად არის წითელი არმია, მუდამ გმირულად იბრძოლებს იგი სამშობლოსათვის, დიდი სტალინისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესაზღვრე

1.

„სადაც სამშობლო მეძახის,
იქ „ნდა ვიყო დარაჯად,
ხელში მეჭიროს შაშხანა,
მეცვას მებრძოლის ფარაჯა.

არ შედრკეს გული ვაჟკაცის,
ტყვიაც რომ სეტყვად ცვიოდეს,
ლაჩრულად მოვკვდე ჯაბანი,
გმირულად თუ არ ვიომებ“.

ასე დაიწყო მესაზღვრე
გელამ სიმღერა ვეფხური,
დღეს აქ პირველად იხილა
თოვლით მოსილი ხევხუვი.

ცა მოწმენდილი, კრიალა,
ციმციმა ვარსკვლავთ კრებულით
გელას თვალებში ელვარებს,
ისე დგას ჩაფიქრებული.

დგას ვაჟკაცურად იქ, სადაც
მთების უსაზღვრო ჯაჭვია...
სამშობლოს დაცვა გმირულად
გელამ თვითონვე არჩია.

და მუდამ დინჯი, ფხიზელი,
მტერსა სცნობს მოსულს მტრულადა;
რამდენჯერ შეხვდა ბანდებთან
გელა განსაცდელს გულადად.

რამდენჯერ ბეწვზე იკრა
გელას სიცოცხლე ვეფხური,
მტერს რომ პირისპირ შებმია
ამ ჩაბნელებულ ხევხუვში.

ერთხელაც, როცა მთებიდან
ხისლი დგებოდა თეთრადა,
უცხონი უღელტეხილზე
გადმოდიოდნენ ერთადა...

შეიპყრო... საგუშაგომდის
ხელაპყრობილი ატარა,
გელამ ეს უცხო „სტუმრები“
მეთაურს გადაამარა.

ფიქრობდა: „კაცი არ შევდრკე,
ტყვიაც რომ სეტყვად ცვიოდეს,
ლაჩრულად მოვკვდე ჯაბანი,
გმირულად თუ არ ვიომებ!

საქმეც ის არის, ასეთ დროს
ვიყო სამშობლოს დარაჯად,
ხელში მეჭიროს შაშხანა,
მეცვას მებრძოლის ფარაჯა!“

2.

გელაც ხომ ხშირად ოცნებით
წამს სოფელს შემოუვლიდა...
ახლა კი სახებრწყინვალემ
და მხიარულმა გულითა
ეზოს ჭიშკარი შეაღო
ჭრიალით, სიყვარულითა.

ხეებმა ფოთოლთ შრიალით
ბოქის ტიკტიკი ახარეს,
ძე უნახავი, პატარა,
წერილით რომ შეაყვარეს...

გელამ მკინარემ ოთახში
ორ ენით შემოანათა...
მშობელმა მშობელს აკოცა,
შემდეგ მივარდა აკანთან;
ჯერ იუცხოვა ბუთხუზამ,
მალე ხითხითი გამართა..

3.

თვე გავიდა და გელამაც
სახლს დაულოცა მშვიდობა,
წავიდა, სადაც ეძახის
სამშობლოსათვის გმირობა.

დავით შამათავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლის დღეები

იმ წელს თებერვლის მეორე ნახევარში მოვიდა თოვლი. დეკემბერი და იანვარი მზიანი იყო. ტყემალმა ვერ მოითმინა და გაზაფხულს დაასწრო ყვავილების გამოტანა. ეზოებში კოინდარს ფერი მიეცა, ხოლო ბაღებში რომელიღაც ნაადრევმა ბუჩქმა წითელი ყვავილი გამოიღო.

თებერვალი გავიდა. ერთ კვირას განუწყვეტლივ ქროდა აღმოსავლეთის ძლიერი ქარი. ზენამ ერთიანად დაიზრო გამოკვირტული ხეები, ხოლო ეზოებში კოინდარს კვლავ ყვითელი ფერი დაედო.

ბაბუა სარდიონი კი მაინც თავისას ამბობდა:

— ადამის დროიდან დაწესებულის გარდასვლა არ იქნება, თებერვალმა უნდა ბეროს, მარტმა იჭინჭყლოს. ასე გამიგონია ყამიანობის მომსწრე ბერიკაცს: „თებერვალი ბერავდაო, მარტი კაბას კერავდაო“.

ზენა რომ ჩადგა, საგრძნობლად დათბა. საღამოს ნელა და უდარდელად დაიწყო თოვა. სულ მალე დაიფარა მიწა ფიფქი თოვლით.

ოდაში დაბრუნებულმა ბაბუა სარდიონმა ხელები მოიფშვნიტა, ბუხარს მიუშვირა და შვილს დარწმუნებით უთხრა:

— ამადამ ფხიზლად იყავი, ბიჭო, ნაშუაღამევს სახლი უნდა გადაითოვლოს, ისეთი პირი უჩანს, დიდი თოვლი მოვა!

— მართლა, ბაბუ, მართლა? უჰ, რა კარგია!— აღტაცებით ამბობდა პატარა ნოე და ფანჯარასთან ტტოდა, ჰაერში მოფარფატე ფართო ფანტელებს რომ უცქეროდა.

— რა ეშველება ადამიანს,—მწუხარე სახით ამბობდა ქმრის გვერდით მჯდომი მარიამი,—შე კაცო, პარასკევს ცხვარი ვერ გავყიდეთ, სიმინდი არაა, კიდეც რომ გვქონდეს, დაფქვა არ უნდა? დიდი თოვლი თუ მოვიდა, წისქვილები გაჩერდება. მარტო ბავშვები დამეხოცება შიმშილით, ჩემს თავს არ ვეჩივი!

— ნუ გეშინია, ქალო, მდგომარეობა შეიცვლება, სიმინდსაც ვიშოვით და პურსაც,—უპასუხა ბესომ, თამბაქო ხელისგულზე გადმობერტყა და ბუხარში შეაფურთხა.

— დედა, აბა შიმშილით როგორ მოვკვდებით, ბაბა იშოვის, ნუ გეშინია,—თქვა ნაღვლიანად პატარა ქეთინომ და დედას ჩაეხუტა.

დილით წელამდის თოვლი იდო.

ქუჩებში სიჩუმე გამეფებულიყო. პავლია ჭითას სავაჭრო დუქნებთან მეეტლების ოხუნჯობა არ ისმოდა: ამისთანაში ეტლი ვერ გაიკლიდა. ახლადამდგარი შეგირდები დუქნების შესავალს წმენდდნენ ხის ნიჩბებით.

— პავლია ჭითა! უუ!—ყვიროდა გოგია მემარილე, —მოკვდი?! შე ოჯახდაქცეულო, გამოდი გარეთ!

— რა გაყვირებს, შე ოჯახჭორო, ამ გათენებამდე, პაჟარია?! მოითქვი სული!

მოლაპარაკობდა მსუქანი კაკი და მოიხეტქავდა დუქნის წინ ცოცხით თოვლს. პავლია წითური იყო, ჭორფლიანი, და ბაზრობაზე. სავაჭროდ ჩამოსულმა მეგრელებმა მას „ჭითა“ დარქვეს.

— გაიგე, ბიჭო?!—დაეკითხა გოგია პავლიას,— გუშინ ფოილოსთან დიდი შეტაკება ყოფილა. გვარდიელები ამბობენ, დიდი სახელი ნახა ჩვენმა ჯარმაო!

— ისეც უშველით ღმერთი!

გულნაკლულად ამოაგრძელა პავლიამ, ბეწვიანი ქუდი ჩამოიფხატა და კოტიტა თითები მოიფშვნიტა.

— ჰო და ღმერთმა თუ არ უშველა, ბიძია, ქე დამდგარა აღდგომა ამ გლახა ბესოიე გაგნძისა და გლახა თეოფილე ძიგავასთვის და ესაა სწორედ!

— არა, არა, ჩემო გოგია; სახლს დავწვავ, დუქანს ზედ მივაყოლებ და ბოლშევიკებს არაფერს არ დავუტოვებ. იცი?!—აქ ხმა დაუდაბლა პავლიამ, ხელი დასაცლეთით გაიშვირა და განაგრძო,—იქიდანაა, თურმე, იმედი, ინგლისი, თურმე, ეხმარება ჩვენს მთავრობას, ხვალ ბათუმში ინგლისის კრეისერებს მოელიანო, ჰო და...

— გავმართულვართ წელში და ეგაა! დედას ვუტირებ ბესოიას ახლა მაცალოს მა გლახის ორანმა, დეეთრეგა, თურმე, წისქვილში ყოველღამ და მასავით ლატაკ გლეხებს უქადაგებს—ლენინმა თქვაო ქართველი ხალხი დიდ რუს ხალხს უნდა შეეურთდესო! ვერ მივართვეთ პატრიოტანი!

— აბა, ყველა გლახა ასეა! გიგოიამ, პავლიამ და ნადარეიშვილებმა შეღებილ-შეკრასაკული კრამიტიანი სახლები რავა წამოიჭიმესო და სკდებიან გულზე... მაგენს მოუგრეხს კისერს გვარდიის შტაბის უფროსი ჩვენი უჩა ბარგათელია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჯანდაბას მაგენის თავი, დღეს, ხომ იცი, პარაკლისს უხდიან ჩვენ ჯარს, არ დამკლა, თუ ძმა ხარ, არ დაიკლდე, რაგაც კი დარეკონ წმინდა გიორგის ზარი, დუქანი დაკეტე, ბიუმბიც წამოვიდნენ...

— მერე და ვითომ მაგი რას უშველის?!

— კარგი, თუ ძმა ხარ, პავლე ნიკიფოროვიჩ! —აქ სერიოზული სახე მიიღო გოგიამ და განაგრძო: —ჩვენ ხალხს მაგალითი უნდა ვუჩვენოთ—ღმერთი ჩვენს მხარეზეა და ქვეყანა-თქვა, თვარა ბესოიესთანა რაზმონიკები ხვალესავე აიყაყანებენ სოფელს!

— ო და კარგი, მასე თუა, მაგას რა უნდა!— დაფიქრებით თქვა პავლიამ.

ამ დროს ბირჟის ბოლოს გოგოების წვიელ-კვიელი ატყდა. ახალგაზრდები თოვლის გუნდას უშენდნენ გოგოებს. ყველაზე უკან წაბლისფერნაწნავებიანი გოგონა მოდიოდა ნელა. პავლიამ თოვლი დაგუნდავა და ესროლა, გოგონა შეტორტმანდა და ზიზღით შეხედა პავლიას:

— დაგეცა მეხი, საზიზღარო, არ გრცხვენია ამხელა კაცს?!

გოგონას სიბრაზეზე პავლია ურცხვად იცინოდა, ახალ გუნდას აგუნდავებდა და ჩახლეჩილი ხმით ღიღინებდა:

„პატარა ბიჭი ვიყავი, პატარა ბიუკელაო“.

— მეისპე, მეისპე, შე მართლა ჭითა!—იწყევლებოდა გოგონა და გარბოდა თოვლში.

— ბრაო, ჭითა, ბრაო!—მიაძახეს პავლეს ამხანაგებმა და სიცილი ატეხეს.

უცებ წმინდა გიორგის ეკლესიის ზარის ხმა მოისმა, მალე მას წვრილი ზარები აჰყვნენ. ვიღაც ხმაშეწყობით ისე რეკავდა, როგორც აღდგომის დღეებში იცოდნენ ხოლმე.

მოგუნდავენი შეაჩერა ზარის ხმამ. სახეაწითლებული, ხელებგათოშილი, თოვლში ამოგანგლული მოქალაქენი ერთმანეთს შეაჩერდნენ.

ყაფაწში სასწორთან მდგარი ბესო გაგნიძე დათია მჭედელს მიუბრუნდა და ხმადაბლა უთხრა:

— აი სოციალისტების მთავრობა,—პარაკლისს უხდიან ჯარს! წყალწყალებული ხავსს ეკიდებოდაო!

— მერე რა, ჯანდაბას მთი თავი, მალე გავთავისუფლდებით, ცოტაც მოვითმინოთო, ჩემო ძმაო!— ჩვეულებრივი სიღინჯით მიუგო მჭედელმა.

ყაფნის მოედანზე გვარდიელებმა შემოაჯირითეს ცხენები.

— აბა, მალე ყველანი ეკლესიაში!—ყვიროდნენ ისინი.

ხალხი დაიძრა წმინდა გიორგის ეკლესიისაკენ. ბესო გაგნიძემ და დათია მჭედელმა ყაფნიდან პირდაპირ მჭედელთა უბანში გაუხვიეს. ყოველივე ეს მხედველობიდან არ გამოპარვია გოგია მემარილეს.

გადაღებას კი არ აპირებდა ცა. ისევ თოვდა ბარაქიანად და ფრიალებდნენ თოვლის ფანტელნი.

ჰაერში ისევ წმინდა გიორგის ზარები ბუბუნებდნენ...

* * *

მოხუც სარდიონასა და ბავშვებს ჩასძინებოდათ. მოგიზგიზე ბუხართან მარიამს სუფრა გაეშალა. ირგვლივ სტუმრები შემოსხდომოდნენ. ბესო სუფრის თავში იჯდა, როგორც მასპინძელი, მარჯვნივ დათია მჭედელი უჯდა, მარცხნივ—თეოფილე ძიგავა. ცეცხლის მხრივ სუფრას მარიამი და ქვისმთლელი ლუკა ქაცარავა უსხდნენ.

სტუმრებს ჯამებით ედგათ ლობიო. სუფრის შუაგულში წვრილ კეცებზე გამომცხვარი ცხელცხელი მჭადები ელაგა. იქვე ეყარა უხვად მწვანილი. ბესოს გვერდით ედგა პირმომტვრეული მოზრდილი დოქი, შუაღვინით სავსე. სადღეგრძელოები მოეთავებინათ. ბესო ლაპარაკობდა:

— ახლა, ამხანაგებო, ჩვენთვის ყველაფერი გასაგებია, მეხშეკეკებმა დაამტკიცეს თავიანთი საზიზღრობა. ისინი მოღალატეები იყვნენ თავიდანვე, —წუთით შეჩერდა ბესო და ყური მიუგდო. ოდა ჭრიალებდა, გარეთ ქარბუქი იყო,—ასე მოღალატენი დარჩნენ ბოლომდე! ახლა ხალხში ავრცელებენ ხმას: ბოლშევიკები კაციჭამიები არიანო, დასისინენენ და სიძულვილს თესავენ. ჩვენ უნდა განვუმარტოთ ხალხს სინამდვილე. ეს ჩვენი მოვალეობაა, ამხანაგებო!

— ასეა, — დაიწყო მჭედელმა, — ლუკა ჩორთიას ხომ იცნობთ, ნალბანდი რომაა, ცოლშვილი მეღუპება, თავს არ ვჩივიო, შემომტირა. პავლია ჭითას გადურევია, დავამშვიდე, დავაჯერე, ბოლშევიკებია ხალხს მხსნელი მეთქი. ძალიან გაეხარდა.

— ნეტავ მშვიდობა იქნებოდეს, თორემ...—ჩაუთო მოწყენილმა მარიამმა.

— ნუ გეშინია, ჩემო რძალო, იქნება, სულ მალე იქნება,—თქვა იმედიანად მჭედელმა და წამოიწყო დაბალი ხმით „მაშ პატარა მრავალჟამიერ“... მას სხვებიც აჰყვნენ. პატარა ნოეს გაძოეღვიძა, სტუმრებს შეხედა, მაგრამ ისევ დასძლია ძილმა და გვერდი იბრუნა.

ბესომ ჭიშკრამდის მიაცილა სტუმრები.

თემურაზზე ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ თოფი ჭრიალებდა და სადღაც შორიდან ყრუდ ძაღლის ყეფა მოისმოდა.

***

გათენებამდის ჯერ კიდევ შორს იყო, მარიამს რომ გამოეღვიძა. წესად ჰქონდა ადრე კაღვიძება, ოჯახზე ფიქრი არ ასვენებდა. ოდნავ რომ ინათებდა, ბუხარში ცეცხლს დაანთებდა, საქონელსა და ფრინველს მიხედავდა და მერე დაბრუნდებოდა სახლში.

მარიამი ახლაც ბავშვების ტანისამოსზე ფიქრობდა. ამ დროს აივანზე ეიღაცამ შემოაბიჯა. როგორც ეტყობოდა, მას რამდენიმე კაცი ახლდა.

— კარი გააღეთ!—მოისმა მკაცრი ხმა.

მარიამი შეკრთა, ბესო შეანძრია და ყურში წასჩურჩულა:

— უჩა უნდა იყოს, ბარგათელია, რა უნდა, ნეტავ, იმ წყეულს?!

— გაუღე კარი! ნადირია, მხეცი საკბილოს ეძებს!

მარიამმა გააღო კარები. ოთახში უჩა ბარგათელია და გვარდიელები შემოვიდნენ. ბავშვებს გამოეღვიძათ, ნოე ზეზე წამოხტა.

— აბრძანდით, ვაეტატონო, თქვენ, როგორც ბოლშევიკი, დაპატიმრებული ხართ!

— მერე? - თქვა ბესომ და წამოდგა ზეზე.

— მერე და ნახავ!—მიუგო მკაცრად.

— გასინჯეთ ყველაფერი!—მიმართა გვარდიელებს. მარიამი სულ ერთიანად კანკალებდა.

— მამა-შვილობას, უჩა, ღმერთი იწამე,—ეხვეწებოდა მოხუცი სარდიონი,—მეზობელი ხარ, ასეთ რამეს რად კადრულობ, ჩვენ ოჯახს ცოხე და სასამართლო თავის დღეში არ მოსწრებია, რა დაგაშავა ჩემმა ვაჟმა ამისთანაზ?

— ხმა ჩაიწყვიტე, ბებერო, რას ყრანტალობ,—შეაწყვეტინა უხეშად გვარდიელმა მოხუცს და მეგობრებს მიმართა:—რას უდგეხართ, გაჩხრიკეთ!

მარიამი ბუხარს მიჰკრდნობოდა და სულ ერთიანად კანკალებდა, ქვეთინო წეღზე მოხვეოდა შეშინებულ დედას, ბოლო ნოე არ ისვენებდა, ფეხებში ეგლანდებოდა გვარდიელებს და სახემოწყურული შესაცქეროდა უჩა ბარგათელიას გამდგარ, სიფრიფანა ცვინთ თხელ, მოკაკულ ცხვირს და მტაცებელი ფრინველის მაგვარ არასასიამო ამღერეულ თვალებს.

— ზვილო, რად დამღუპე, რა ქენი ასეთი?—ეხვეოდა მოხუცი შვილს. ბესო კი იდგა გაშტერებული, რომელიღაც წერტილს მისჩერებოდა და მოისახვედ შეეყარა თვალ-წარბი.

— აი, ვაეტატონო, არალეგალური ლიტერატურაც,—თქვა უჩამ და მუთაქის ქვემოდან რამდენიმე წიგნი გამოიღო.

— „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, ჩაწერე სათაური.— უბრძანა მან მდივანს, რომელიც ამღერეული თვალებით მისჩერებოდა უფროსს.

— აღმოჩნდა სურათიც!—უკარნახა უფროსმა.

— ვისი, ბატონო უფროსო?—შეეკითხა შეშინებული ჩია კაცი.

— დურაგ...—წაიბურღღუნა ბარგათელიამ.—ვინ? ვისი და ლენინის, ვითომ ჯერ არ გინახავს ჩხრეკის დროს...

შეშინებული მდივანი ხმაამოღებლივ წერდა.

ინათა. ფანჯარაში თოვლით დაბურულმა ვაზლის ხემ ტოტები დაიბერტყა. ბათქაბუთქით ცვიოდა თოვლი და თეთრი მტვერი ირეოდა ჰაერში.

— გამიძეხ!—ჭკრა ხელი ბარგათელიამ ბესოს.

— შენ, ეი, რას ირტყმიხ!—წამოიძახა პატარა ნოემ, მაგრამ მისთვის არავის არ მიუქცევია ყურადღება.

— ბესო, შენ გენაცვალე, ჩეიცეი, ჩეიცეი! გაცივდები!—მისძახოდა თვალცრემლიანი მარიამი ბესოს და ხელში ფარაჯაკს აწვდიდა.

— დაიკარგე. დედაკაცო!— ჭკრა ხელი ბარგათელიამ ქალს. მარიამი მოწყვეტილი მიეყრდნო აივნის ბოძს და ქვითინი ამოუშვა.

— სძაველი ბიძია, სძაგელი!—მიაძახა ნოემ ვვარდიელს.

ბარგათელია მოტრიალდა და მათრახის ტარი დაარტყა ჯატარა ბიჭს თავზე. ბავშვი ატირდა.

— მხეცი ხარ, მეცი, ნადირი, ბავშვთან რა საქმე გაქვს?—მიუბრუნდა ბესო ბარგათელიას.

— გაეთრიე, შე წუნკალო, შენი შვილიც შენისთანა ოაზბონიკი გამოვა!

ეშკართან ისევ მოესმა ბესოს ბავშვის ტირილი. მოიხედა. თოვლს დაებურა მისი კარმიდამო. ლამაზი მოეჩვენა ყველაფერი. ნოე კიბეებზე ჩამომჯდარიყო და ქვითინებდა, მარიამი კი აივნის ბოძს მიჰყრდნობოდა და უყურეთ, გამდგარი სახით მისჩერებოდა მიმავალ საყვარელ ქმარს.

იმ ღამეს ბარგათელიამ თეოფილე ძიგავა და ქვისმთლელი ლუკა ქაცარავაც დააპატიმრა. დათია მეკიდელსაც ძიბტომოდნენ სახლში, მაგრამ ვერ ეპოვათ.

***

უჩა ბარგათელიამ ქვეყანანი შეძრა, კუბსა და გუბში ეაკეკი აფრინა, მათხოჯსა და ნახახულეგში საიმედო ვვარდიელები გაგზავნა. უთენია თითონ მოახტა ყორანა ულაყს და ივანდიდსა და ქარჩხაბში ყველა არასაიმედო ოჯახს მიუხტა. ქვრივ-ობლები დაწიოკა და საღამოთი დაბრუნდა უკან. არაფერი არ გამოვიდა, ვერ გიგიო, ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ დათია მეკიდელი. მესამედ დაკითხა ბესო გაგნიძეს. იგი ჩუმად იდგა წარბდახრილი და შუბლშეჭეხუნილი. ყოველივე კითხვაზე ერთ და იგივე პასუხს იძლეოდა:

— არ ვიცი. არ მინახავს. შესაძლებელია!

— ძაღლივით ჩაგკლავ, ბესოია გაგნიძე!—ყვიროდა ბარგათელია.

ჯმუხი, ენაბლუ და წუნარი თეოფილე აუღელვებლად იძლეოდა ჩვენებას.

— მე ვიბრძე თქვენს წინააღმდეგ, ბოლშევიკი ვარ. მეედელ დათას თუმცა ვმეგობრობდი, მაგრამ არ ვიცი, სად არის.

მოხუც ქვისმთლელთან ვერაფერი ვერ გაიგო ბარგათელიამ. დინჯი თეორწეერა მოხუცი მის კითხვაზე მწყარალად გამოიხედავდა, წვერს ხელი თითებით ჩამოივარცხნიდა და თავის ქნევით იტყოდა:

— დაიქცეს შენი დაბადების დღე, მოხუცებს ასე ეპყრობიან?

უკანასკნელად სულ ერთიანად გაცოფდა ბარგათელია მოხუცის პასუხზე და ბრძანა სამ დღეს მშიერ-მწყურვალი ემყოფებინათ იგი.

* *
*

ფაცხის შუაგულში ცხენისწყლის ჩამოტანილი უზარმაზარი კუნძი ლუღუნებდა და საამოდ ნაკვერჩხლდებოდა. ტალახით შელესილი ფაცხის კედლები ზოგჯერ ირწეოდნენ, ქარი აყრიდა თოვლსა და ნამქერს. ცხენისწყლის ჭალებში ჭარბუქი მძვინვარებდა.

— ნამდვილად იქცევა ქვეყანა, ნამდვილად!— ჩურჩულებდა მურზაყან,—ოცი წელიწადია ბორანზე ვმუშაობ, ასეთი ღვთის რისხვა ღამე კი არ მახსოვს, შვილებო!

— მართლა რა გულსაკლავად უსტვენს ამაღამ ქარი! ძაღლი არ გაიგდება გარეთ!

დაბალი ხმით თქვა მეედელმა და მუგუზალი შეუკეთა კუნძს.

— მებორნე...—აყვირდა ამ დროს ვიღაცა.

— ვინ არის ეს ოჯახქორი, ამ ქარბუქში რამ გამოიყვანა გარეთ! — შეწუხდა მოხუცი, ლაპარაკი რომ შეაწყვეტინეს.

— ბაბუა მურზაყან, მეც წამოვალ!—წამოდგა მეედელი.

— იყავი, შვილო, შეჩვეული ვარ, მარტოც გავიყვან ბორანს!

კარებიდან ქარი შემოიჭრა, ფაცხაში დატრიალდა და ცეცხლი აანთო.

— მებორნეე..,—ყვიროდა ისევ ვიღაცა ქარბუქში.

იმ წუთსვე დაბრუნდა მეედელი ფაცხაში.

— ბიჭებო, ბარგათელიას ხმა ვიცანი, მოემზადეთ, ის კეთილ საქმეზე არ წამოვიდოდა აქეთ.

მეგობრები წამოიშალნენ, საათითოდ გამოიკრიფნენ გარეთ. ძლიერ დაეკლო ცხენისწყალს, მაგრამ მაინც ახმაურებდა თოვლით დაბურული ჭალას. მეედელი და მეეტე ფაცხას მარჯვნივ ეფარებოდნენ, ბორანი მძიმედ მიჭრიალებდა ნაპირისაკენ. თოვლის სანთლეზე დათიამ ბორახზე სამი ცხენი და რამდენიმე ჯაცი გაარჩია.

ჭრიალით მოადგა ბორანი ნაპირს, წინ სამი ჯაცი გადმოვიდა. მერე ცხენის ნალები ახმაურდა ბორანის ბაგაზე.

— დაიკარგე, მოხუცო, რაც ნახე, კრინტი არ დაძრა, თორემ უიმერითოდ ჩაგაძაღლებ! — ბრანმა ბარგათელიას ხმა. მოხუცი ფაცხისაკენ წამოვიდა.

თავჩაღუნული მიდიოდა ცხენისწყლის ნაპირ-ზე. ბიჭებმა ჭქონდათ ... ლა მიჰკიბოდნენ უკან ცხენსნებში. ფაცხას რომ გაუთანასწორდნენ, თოფი გავარდა. ვიღაცა ცხენიდან გადმოხტა. სროლა რამდენჯერმე ერთად განმეორდა. ცხენები დაფრთხნენ. ვეიან შორს მოისმა საპასუხო სროლა. მერე კი ყველაფერი მიწყნარდა.



პირველად დათია მეედელი გამოვიდა საფარიდან, რომელიღაც თოვლში წაქცეულს ხელი დასტაცა და წამოაყენა.

— ბესო, შენ?

— დათია!

მოისმა ქარბუქში.

— თეოფილე!

— ბიძია ლუკა!

* *
*

ამინდი შეიცალა, გამოიდარა. თებერვალმა კრიალა ცა აჩვენა ქვეყანას. წამოვიდა საწვეთელში თოვლის წყალი, მთელი ღამე წვეთავდა ლაფარეში და მიდიოდა ჭირვეული ზამთარი.

იმ დღეს ცის ტატნობზე ღრუბლის ერთი ფთილაც არ ჩანდა. სკოლებში სწავლა არ იყო, სავსე იყო ახალგაზრდობით. ამდენი ხალხი პარასკეობით არ იყრიდა ბაზრობაზე თავს. ქეჩის მარჯვნივ და მარცხნივ სარწყავ არხებთან ხალხი იდგა.

საყვარელი ქმრის დაკარგვას სულ ერთიანად დაესუსტებინა მარინე, სახე გაფერმკრთალებოდა. დიდრონი, ლამაზი თვალის უპეები ამოელურჯებინა სევდას. ქეთინო და პატარა ნოე წუთით არ შორდებოდნენ მწუხარე დედას, ახლაც გვერდში უდგნენ ქუჩის თავში. არავინ არ იცოდა, სად გადაკარგა ძაღლთაპირმა ეჩა ბარგათელიამ ბესო და მისი ამხანაგები. ქალაქში ამბობდნენ, ბორანთან თითონ დახვრიტა სათითაოდ ბარგათელიამ ისინო. ამ ამბის მნახველსაც ასახელებდნენ, მაგრამ მარინეს,

თეოფილე ძიგავას ბავშვებს და მოხუცი ქეისმოლელის მეუღლეს ამის თქმას ვერავინ უბედავდა.

ათი საათი იქნებოდა, რომ სასულე ორკესტრის ხმა მოისმა.

— მოდიან, მოდიან!—ყვიროდნენ პატარები და დარბოდნენ ქუჩებში. მშვიდად, თავაწეული, ლამაზად მოაბიჯებდნენ სამხედრო ცხენები. მხედრები მარჯვნივ და მარცხნივ მოზიმე ხალხს ესალმებოდნენ. გოგო-ბიჭები მხიარული ქივილ-ხივილით მისდევდნენ ქუჩებში წითელარმიელებს.

მთავარ ქუჩაზე რომ გამოვიდნენ, სიხარული კიდევ მეტად მოედვა ხალხს. ხალხმა იცნო თავისიანები. ლამაზ წაბლისფერ ულაყზე მჯდომი, წითელარმიელის ტანისამოსში გამოწყობილი ბესო გაგნიძე მხიარულად ესალმებოდა მეზობლებს, ნაცნობებსა და მოკეთეებს. თეოფილე ძიგავა და დათია მჯდელი მხარდამხარ მიჰყვებოდნენ როშელიდაც წითელარმიელს და თავისიანებს ესალმებოდნენ.

ხალხი ქუჩაში გამოვიდა, როცა ბიძია ... დაინახეს. მოხუცი სიხარულის ცრემლს აფრქვევდა, საათითოდ ჰკოცნიდა ყველას და დაბალი ხმით ჩურჩულებდა:

— გვეღირსა, შვილებო, თავისუფლება გვეღირსა.

ბესო გაგნიძეს თავის პატარა გოგონა ქეთინო ჩამოჰკიდებოდა კისერზე და სიხარულით ტიროდა. შორიახლო მარინე იდგა და თვალებგაბრწყინვებული შესცქეროდა საყვარელ ქმარს.

საღამოს ქალაქის მთავარი შენობის შესავალ კარებს ზემოთ ვიღაცას ძმები ნადარიშვილების „საბაკალიონო სავაჭრო“ აბრა გადაებრუნებინა და ცარცით მრგვალი ასოებით მიეწერა: „რევკომი“.

ჯერ უმეტესობამ არ იცოდა, თუ რას ნიშნავდა იგი, ხოლო შენობაში დათია მჯდელი, თეოფილე ძიგავა და ბესო გაგნიძე უბნების წარმომადგენელ გლეხებთან ერთად ისხდნენ, თამბაქოს აბოლებდნენ და საჭირბოროტო საკითხებს წყვეტდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე



ჩვენი ბავშვები

ეს ფოლადი, ეს ჯავშანი
რა მკვრიები და მაგარია,
ნაბრძოლია, არ გამტყდარა,
ისევ მხნე და ახალია...
მიგრიალებს და დროშებით
აივნები დაეხარიან.

მებრძოლებში მის მხნეობას,
მის გმირობას ვინ არ აქებს,
ძველ ზღაპართა გმირებს ჩრდილავს
მისი ღონე, მისი საქმე.
უნდა ნახოთ, ბრძოლის ველზე
ცეცხლს პირიდან როგორ აფრქვევს!

ღაძახილზე მტრებს ბუნაგში,
ბავ სანგრებში, ხანძარს უჩენს,
გამარჯვებულ შრომას იცავს,
ჩვენს მაღაროს, გზებს და ქუჩებს,
გრიგალივით გამძაფრებულს
მტრების ცეცხლი ვერ აყუჩებს.

წინ მიუძღვის ჩვენს მამაცებს,
კაფიტს ტყეს და კაფიტს ჯაგნარს...
დამცირებულ მომძლეს შველის,
სადაც არის ისევ ჩაგვრა,
მუშის კერა სადაც ყინვით
და შიმშილის ხელით ჩაკრა.

ღონეს ჰმატებს ძმებთან ძმობა,
ჩაგრულთათვის დახმარება,
სადაც მიდის, მიაქვს შუქი,
მზის ღიმილი, ხალხის შვება.
იხედება გმირის თვალით,
აბობოქრებს გმირის ნება.

ეს ძალღონე, ხმა და გზნება
რა კაცმა და ძალმა მისცა!
რა მკვრივია! რა გატეხავს
მის ფოლადს და გულის ფიცარს!
ამტანი და უშიშარი
მიგრიალებს, არყევს მიწას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო ორჯონიკიძე

სამი წლის წინათ, 1937 წლის თვრამეტ თებერვალს გარდაიცვალა დიდი რევოლუციონერი, მძიმე ინდუსტრიის არმიის სახელოვანი სარდალი, ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე.

თავისი ერთგული საამაყო შვილის გარდაცვალებამ მთელი ხალხი დაამწუხრა. ყველას უსაზღვროდ უყვარდა იგი. უყვარდათ იმიტომ, რომ ამ მგზნებარე რაინდმა მთელი თავისი ნათელი ცხოვრება მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს, ლენინ-სტალინის საქმეს შესწირა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ცხრამეტი წლის სერგო ორჯონიკიძე დიდ რევოლუციურ მუშაობას ატარებს აფხაზეთში, აწყობს შეიარაღებულ გამოსვლას ქალაქ გუდაუთში.

შემდეგ და შემდეგ იგი უფრო მეტი გატაცებით ებმება რევოლუციურ საქმიანობაში. ლენინის დავალებით სერგო ორჯონიკიძე დიდ მუშაობას ატარებს პრაღის კონფერენციის მოწვევისათვის. 1912 წელს პრაღის კონფერენციამ იგი აირჩია პარტიის ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის წევრად, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს წევრად.

სამოქალაქო ომის პერიოდში სერგო ორჯონიკიძე ფრონტებზე იყო. იგი ითვლებოდა რამდენიმე არმიის ხელმძღვანელად. ბევრ გადამწყვეტ უბანზე გაუმარჯვია წითელ არმიას ამ მგზნებარე რაინდის მეთაურობით.

ამხანაგმა სერგო ორჯონიკიძემ დიდი მუშაობა ჩაატარა ჩვენი მძიმე ინდუსტრიის გარდასაქმნელად. მას სამართლიანად თვლიდნენ მძიმე ინდუსტრიის არმიის სახელოვან სარდლად, რკინის სახალხო კომისრად.

მარად და მარად დაუვიწყარი იქნება დიდი ბოლშევიკის, ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლის, ამხანაგი სერგო ორჯონიკიძის ხსოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბმიური დრეიფი

1890 წლის თებერვალში „ოსლოდ“ წოდებული გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე სენსაციური მოხსენებით გამოვიდა ცნობილი პოლარული მკვლევარი ფრიტიოფ ნანსენი. მან განაცხადა, რომ გრენლანდიის სამხრეთ აღმოსავლეთის ნაპირზე ნაპოვნია ნივთები, რომლებიც ეკუთვნოდა ამერიკის ფლოტის ექსპედიციის წევრს დიდონგს. დიდონგის ხომალდი „ჟანეტი“, რამდენიმე წლის წინათ მოისრისა ყინულებს შუა და ჩაიძირა ნოვოსიმბირსკის კუნძულების მახლობლად. და აი, ახლა „ჟანეტის“ მეზღვაურთა ნივთები აღმოჩენილია ყინულოვან ნაპრალებს შორის, ათასი მილის დაშორებით დასავლეთი მიმართულებით. ჩანს, მათ ყინულებთან ერთად განვლეს შორი მანძილი, მაგრამ რა გზაა ეს გზა? ნანსენი ფიქრობდა, რომ ყველა ეს ნივთი ყინულებითვეა მოტანილი პოლარული გზის გამოვლითო.

„ფრამის“ კაპიტანი ფრიტიოფ ნანსენი.

— მე ეჭვად გამიელვა აზრმა, რომ გზა ნაპოვნია. თუ ყინულებს თავისი დინებით შეეძლო გადმოსულიყო გაუვალ ადგილებში, რატომ არ შეიძლება იმავე დინებით ვისარგებლოთ მისივე გამოკვლევისათვის, პოლუსის მისაღწევად? — ამბობდა ნანსენი.



ისტორიული ხომალდი „ფრამი“.

ასე დაიბადა მოდრეიფე ხომალდის ექსპედიციის გეგმა, რომელსაც ნანსენმა საამაყო სახელი „ფრამი“ („წინ“) უწოდა.

1893 წელს, ჩრდილო-დასავლეთით ნოვოსიმბირსკის კუნძულებიდან, „ფრამი“ შევიდა ყინულებში და მათთან ერთად დაიწყო დრეიფი. თითქმის სამი წლის განმავლობაში მსოფლიომ არაფერი არ იცოდა ნანსენის ექსპედიციის შესახებ. მხოლოდ 1896 წლის შემოდგომაზე ხომალდი დაბრუნდა ნორვეგიაში. აღმოჩნდა, რომ ნანსენი შეცდა თავის წინადადებაში: ყინულების დრეიფმა მისი ხომალდი წაიყვანა მხოლოდ ცენტრალური პოლარული ბასეინის ნაპირებამდე. მაგრამ ექსპედიციის აღმოჩენა მაინც ფრიად დიდმნიშვნელოვანი იყო. ამ ექსპედიციის მონაცემები რამდენიმე წლის განმავლობაში რჩებოდა ერთადერთ სწორ ცნობად ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანის შესახებ.

* * *

საბჭოთა ქვეყნის გაზრდილი მეცნიერული მოთხოვნილება ვერ დააკმაყოფილა „ფრამის“ ცნობებმა ჩრდილო პოლუსზე.

ცენტრალური პოლარული ბასეინის შესწავლის ამოცანა მთელი სიძლიერით დადგა ჩვენი ქვეყნის წინაშე და 1937 წლის 21 მაისს თვით დიდი ბელადის — ამხ. სტალინის მითითებით ოთხი მამაცი საბჭოთა პატრიოტი გაემართა სადრეიფოდ ცენტრალური არქტიკის ჰიდრო მეტეოროლოგიური რეჟიმისა და საბჭოთა მფრინავების შესანიშნავი ტრანსპოლარული გადაფრენების მომსახურეობის საშუალებათა შესასწავლად.

ამ მამაც ოთხეულს, რომელთაც ბრწყინვალედ დააგვირგვინეს ეს დიდი ამოცანა, პაპანინელები ჰქვიათ.

* * *

1940 წლის 13 იანვარს, 12 საათსა და 7 წამზე, არქტიკული ფლოტის ფლაგმანი ყინულმჭრელი „ი. სტალინი“ მივიდა მოდრეიფე ხომალდ „გიორგი სედოვთან“, რომელმაც თავისი გმირული დრეიფით ჩაწერა მესამე ახალი სახელოვანი ფურცელი არქტიკის დაპყრობისათვის ბრძოლის ისტორიაში.

„სედოვის“ დრეიფი დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პაპანინელები დრეიფობდნენ ცენტრალურ პოლარულ ბასეინში. მამაცი სედოველები თითქოს მიიღესო პაპანიელების სამორიგეო, ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში ისევე აწარმოებდნენ მრავალგვარ მეცნიერულ დაკვირვებას: ზომავდნენ ოკეანის სიღრმეს სწავლობდნენ ყინულების დრეიფს და ჰაერის მოძრაობას ცენტრალური არქტიკის კლიმატურ მოვლენებზე დაკვირვებით.

„სედოვის“ ეკიპაჟი უმთავრესად ახალგაზრდობისაგან შედგებოდა. ესენი არიან პოლარული მეზღვაურები, აღზრდილნი ბოლშევიკური პარტიისა და ლენინურ-სტალინური კომკავშირისაგან.

როდესაც მოდრეიფე „სედოვი“ გადაქცეული იყო მოძრავ სამეცნიერო-საკვლევო სადგურად, ამ მეზღვაურებმა ყველაფერი გააკეთეს რთული სამეცნიერო ექსპედიციის მიღწევებისათვის. მათ კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცეს, თუ რის შემძლენი არიან საბჭოთა უბრალო ადამიანები, სამშობლოს პატრიოტები, საბჭოთა ხალხის გულადი და გაბედული შვილები.



„სედოვის“ კაპიტანი ამხ. კ. ბადიგინი

„სედოვის“ მეზღვაურნი მშვიდად იყენენ თავისი თავისა და თავიანთი საქმის მიმართ. ამიტომ მიაღწიეს მათ გამარჯვებას. ამიტომ გადაიქცა „სედოვის“ დრეიფი საბჭოთა ბედნიერების ტრიუმფად, ჩვენი დროის ღირსშესანიშნავ დიად მოძრაობად.

„სამშობლომ თავის მიწაზე უსაზღვრო ზეიმითა და მშობლიური გულთბილობით ძიღო თავისი მამაცი შვილები — გმირი სედოველები. მათი თავდადება ღირსეულად დააფასა ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. „სედოვის“ კაპიტანი ამხ. ბადიგინი და აგრეთვე მთელი ეს გმირული კოლექტივი დაჯილდოებულია საბჭოთა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი.

ა. ფულარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვანი წინამორბედი

ფრიად მოულოდნელი სიხარული მოუტანა ქართველ ბავშვებს და მოზარდებს 1904 წლის ნოემბრის დღემ. ეს მაშინ იყო, როდესაც მათ მიიღეს პირველი ნომერი ახლად დაარსებული მხატვრული საყმაწვილო ჟურნალისა, რომლის მიმზიდველად გაფორმებულ გარეკანზე ლამაზად ეწერა: „ნაკადული“.

ქართულ სინამდვილეში მაშინ ეს მეორე საბავშვო ჟურნალი იყო „ჯეჯილის“ შემდეგ.

„ჯეჯილისა და ნაკადულის“ ფაქიზმხატვრულ ტრადიციებზე იზრდებოდა საქართველოს ნორჩი თაობა მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის მანძილზე.

„ნაკადულის ჰაკარა მკითხველებისაკენ, ჩვენს დაუვწყარ და ძვირფას ლედაკოსს“

ბევრი ჩვენგანის ხსოვნაში, ახლაც, წარუშლელად, მთელი თავისი სისულითა, სისადავითა და მხატვრული სიმდიდრით არის აღბეჭდილი „ნაკადულის“ ფურცლებიდან ამოკითხული მასალების ნათელი შინაარსი. სინამდვილის ამსახველი ნახატები, ტკბილი, მუსიკალური ლექსები, მრავალმხრივ საინტერესო მოთხრობები, ზღაპრები და ლეგენდები ახლაც არ სცილდებიან „ნაკადულის“ მკითხველთა გონების სფეროს.

ამ საყვარელი ჟურნალის ფუძემდებელი, დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო იმ დროინდელი ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალთა წრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი მარიამ ივანეს ასული დემურია (ივანიშვილი).

უსიხარულო, მაგრამ მრავალფეროვანი იყო მარიამ დემურიას ბავშვობა. ის დაიბადა 1860 წელს ქალაქ გორში. რვა წლის ბავშვს მშობელი დედა გარდაეცვალა. მისი აღზრდა დიდედამ იკისრა. 7 წლის შემდეგ მამაც მოუკვდა, და 15 წლის მარიამი დიდედას თანხლებით თბილისში ჩამოვიდა. ის მიაბარეს საბებრო ინსტიტუტში. სწავლის დასრულების შემდეგ მარიამი მშობლიურ ქალაქ გორს დაუბრუნდა სამუშაოდ. შემდეგ მას უხდებოდა მუშაობა საქართველოს სხვა კუთხეებში ქუთაისში, ოზურგეთში, საჩხერეში ბოლოს კი თბილისში.

ეს, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ახალგაზრდა ქალი მრავალფეროვან საზოგადოებრივ საქმეებს ეშიდებოდა გულისხმიერებით და ყველა მათგანს კარგადაც აგვირგვინებდა.

აი გადაწყვეტა მარიამმა დაეარსებინა ქართული საბავშვო ჟურნალი, და მიეუხედავად უამრავ დბბრკოლებათა, მიზანს მიაღწია.

„მარიამი მედგრად შეუდგა საყმაწვილო ჟურნალის დაარსებას. კარიკარ დადიოდა ქართველ მწერლებთან, კალთებს აგლეჯდა და მიჰყავდა კრებაზე მოსალაპარაკებლად... „უნდა მოგახსენოთ, მოსვენება არ გვქონდა მარიამისაგან მანამ არ დაარსდა ჟურნალი, რომელსაც კრებამ სახელად „ნაკადული“ უწოდა“. — სწერს თავისმოგონებაში ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი.

„არ იცოდა რა დაღლა, ივიწყებდა თავს, ხანდახან საკუთარ შვილებსაც კი, დღისით და ღამით ფიქრობდა იმაზე, როგორ დახმარებოდა მუშა ხალხს, გამოეყვანა ის ჯურღმულიდან, მიეცა მისთვის სულიერი საზრდო“.

„ვით კეთილი ფერია, მარიამი გაჩნდებოდა ხოლმე ყველგან თავისი სწორუპოვარი ღიმილითა და მშობლიური ალერსით“—ამბობდა მწერალი ქალი ნინო ტყეშელაშვილი, მარიამ დემურიას საფლავზე დაკრძალვის დღეს, 1910 წლის 6 თებერვალს.

მრავალი გვირგვინით შეამკეს დედთა და პატარათათვის საყვარელი ადამიანის, დაუცხრომელი მოღვაწე ქალის, მარიამ დემურიას ცხედარი. უამრავ გვირგვინთა შორის იყო ერთიც, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „ნაკადულის“ პატარა მკითხველებისაგან—ჩვენს დაუვიწყარს და ძვირფასს რედაქტორს“. ეს მოკლე წარწერა ბევრს ღაღადებდა ამაზე, თუ რა მახლობელი და მშობლიური იყო მარიამი მაშინდელი მოზარდი თაობისათვის.

30-მა წელმა, რომელმაც განვლო ამ ძვირფასი ადამიანის გარდაცვალებიდან, ვერ წაშალა მისი ხსოვნა. ის კიდევ დიდხანს და დიდხანს იცოცხლებს.

დაუვიწყარია ქართული საბავშვო ჟურნალის ერთ-ერთი დამაარსებლის, მისი კულტურის სახელოვანი წინამორბედის, მარიამ ივანეს ასული დემურიას საქმე და სახელი.

არჩი შინეი და მ. მაღლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერნიკის ძმა

(დასასრული *)

მაშინ ატი „გახსნილა თავის ტყავის „ტომარას და ფიქვის ქვეშ დაალაგებდა საკვებს: თევზს, კიბოებს, ბაჭიებს, ნამცხვრებს, ბალახებისა და ფესვებისაგან გაკეთებულ ნამცხვარს, რაც ცნობილია მხოლოდ ინდოელებში. არწივი ჩამოგრინდებოდა დაბლა. სანამ ის კენკავდა და იკლავდა შიმშილს, ატი იჯდა მისგან ორ ნაბიჯზე და უამბობდა მას ყველა თავისი საზრუნავისა და უბედურების შესახებ. ის უამბობდა იმაზე, რომ მისი ხალხი ყოველდღიურად ღარიბდება, რომ ტომში გავრცელდა ავადმყოფობა და რომ „ცეცხლიანი წყალი“ ღუპავს მის ხალხს.

— ო, ჩემო ძმაო ტი, წმინდა ტოტემი ჩემის ხალხისა, შენ ბელადი ხარ ფრინველებისა! შენ თითქმის თანასწორი ხარ დიდი მამისა. აფრინდი სულ მაღლა, მაღლა, სანამ არ დაინახავ მის თეთრ კარავს, სანამ არ იპოვი ბედნიერი სულების ქვეყანას. უთხარი დიდ მამას, რომ მისი შვილები დაუძლურდნენ შიმშილისაგან. უამბე მას იმ ავადმყოფობის შესახებ, რომელისაგან განკურნვაც ჩვენს მისნებს არ შეუძლიათ. უამბე მას, რომ თეთრკანიანები უფრო მეტად ულმობელნი არიან, ვიდრე მთის მხეცი, ჩვენ ვიღუპებით მათ ფეხქვეშ, ო, ბელადო ფრინველო, გადაეცი მამას ჩვენი უსტარი და ჩვენ პატივით მოგიზღავთ სამგიეროს...

ხანდახან ხდებოდა, რომ დაბრუნების შემდეგ ატი ორაგულების ჭერით უფრო მდიდრდებოდა, ნადირობასაც წარმატებით ჩაატარებდა. მაშინ ტომი მოაწყობდა მხიარულ დღესასწაულს და ასრულებდა არწივის ცეკვას. ხალხი მადლობას გამოთქვამდა:

— რა კეთილია ჩვენი ტი, ჩვენი ტომის ტოტემი!

მაგრამ გამომუშავებული ფული ინდოელების ხელიდან მალე გადადიოდა თეთრკანიანების ხელში „ცეცხლიანი წყლისათვის“.

ინდოელები სულ უფროდაუფრო მეტად ხდებოდნენ მოვალენი თეთრკანიანების წინაშე, და ატი ამაოდ ცდილობდა აღეკვეთა ეს ბოროტება.

ნელნელა გადიოდნენ წლები, და ყოველ მათგანს თან მიჰქონდა ყოფილი დიდების ნაწილი. ატი ნაადრევად დაბერდა, მწუხარებამ მოიცვა მისი გული, ნაღველმა გაუშრო სისხლი, ლაპარაკობდა იშვიათად და ცოტას, გარდა იმ დღეებისა, როდესაც არწივს უზიარებდა თავის მწუხარებას.

*) იხ. „ჰორიზონტი“, № 1

თეთრკანიანებმა, რომლებიც ახლა ხშირად მიდიოდნენ ამ მიყრუებულ მხარეშიც, გაიგეს, რომ მაღალ, მიუვალ კლდეზე განმარტოებით ცხოვრობს უზარმაზარი არწივი, რომლის მსგავსიც არ უნახავს ადამიანის თვალებს.

ბევრჯერ დაუგეს მახე თეთრკანიანმა მონადირეებმა არწივ ტის, ბევრნაირი ხერხით ცდილობდნენ მოეკლათ ის. ისინი ინდოელებს ჰპირდებოდნენ არწივის ნაცვლად საბნებს, არაყსა და სხვა საქონელს, მაგრამ ვერ დაითანხმეს ინდოელები ტიზე სანადიროდ. რამდენადაც არ უნდა დაცემულიყო ნუმიპუს ხალხი, არც ერთი მაგანი არ დათანხმდებოდა გაეყიდა თავისი წმინდა ტოტემი საკვებზე, სასმელზე ან ფულზე.

ყველაზე წმინდა საგანი ნუმიპუს მიწაზე ხომ მათი არწივი ტი იყო—ძმა მათი ბელადისა.

თეთრკანიანებმა ბევრჯერ სცადეს ტყვეით მოეკლათ არწივი. მაგრამ თეთრკანიანების მიერ გასროლილი არც ერთი ტყვია არ შეხებია მას. ის თითქოს მოჯადოებული იყო. ის ზიზღით შესცქეროდა მოწამლულ ხორცს, რომელსაც გულდასმით ალაგებდნენ თეთრკანიანები მისი კლდის ნაპირებზე.

ტი მეტად ბრძენი და ფრთხილი იყო... მან კარგად იცოდა, რა სიმაღლეზე უნდა ეფრინა, რომ აეცდინა გასროლის საფრთხე. ის ადვილად არჩევდა ტყეში მიმალულ მონადირეებს და თითქოს დასცინოდა მათ, კიბილით ტრიალებდა იქ, მაღალ ცაში, სადაც არც ერთ თოფს არ შეეძლო გაეგზავნა ტყვია; ტრიალებდა მანამდის, სანამ ბოლოს ზეიმით არ დაეშვებოდა თავის მიუვალ კლდეზე განმარტოებით მდგარ ფიქვის ტოტებზე.

ერთხელ ნუმიპუს მიწაზე მოვიდა ორი თეთრკანიანი მონადირე. ისინი აგროვებდნენ ფრინველებისა და ცხოველების კოლექციას. არწივის გამომწვევმა მოქმედებამ, მისმა სიფრთხილემ და სიმამაცემ განსაკუთრებით გააღიზიანა ეს ხალხი და როცა დანარჩენმა მონადირეებმა თავი უკვე დამარცხებულად ჩაათვალეს, დაანებეს თავი ფიქრს არწივის მოკვლის შესახებ, ეს ორნი იფიცებოდნენ — დავიჭერთ არწივს, რადაც არ უნდა დაგვიჯდესო.

ხედავდნენ რა ინდოელების სიღარიბეს, მათ ერთხელ კიდევ სკადეს ნუმიპუს ტომის შეცდენა. ისინი დაპპირდნენ მთელ ტომს გაუგონარ სიმდიდრეს, თუ ტომის მხედრები მოეხმარებოდნენ მათ არწივის დაჭერაში.

მაგრამ ერთადერთი, რის გაგებაც შეძლეს ინდოელებისაგან, იყო ის, რომ ნუმიპუს ბელადმა ატისმ

იცის საიდუმლო ბილიკი კლდემდის. მხოლოდ ის ადიოდა ამ კლდეზე, და არა ერთხელ, არამედ ყოველთვე. არწივი, ყველასათვის ასეთი მიუწვდომელი, მისთვის სანდო მეგობარი იყო და არავითარი ქრთამით, არავითარი ბრეკეიალა წვრილ მანებით არ შეიძლებოდა მათი ურთიერთ ნდობის დარღვევა. ასე ეუბნებოდნენ ინდოელები თეთრკანიანებს.

მაგრამ თეთრკანიანები მაინც გაემართნენ ატისაკენ. მათი ხმები ვერცხლივით წკრიალებდნენ. ატისმ სერიოზული სახით მოისმინა მათი წინადადება და დაპირება.

— შენ გაგაგზავნეს ძმა? — მოულოდნელად შეეკითხა ატი ერთ ერთ თეთრკანიანს, როდესაც ის შეჩერდა, რომ ამოესუნთქა. — გაგაგზავნეს? მაშ მომიტანე მისი სხეული, დადე ის ლერწმის ჭილობზე ჩემი სახლის წინ, და მაშინ ამ სხეულის ნაცვლად მე მოგიტან ჩემი ძმის, არწივის სხეულს. მე და ის ხომ ძმები ვართ, ბელადების ვაჟები. ჩვენ ორივენი ბელადები ვართ. თუმცა მოოლოდ სახელით ბელადები, რადგან ჩემი ტომი არ ისმენს ჩემს რჩევას და მისი ცხოვრებაც მიდის უკუნეთისაკენ. არწივს კი მისი წინანდელი მეფობიდან არ დარჩა არაფერი, გარდა მაღალი და შიშველი ფიჭვისა. ო, უცნაურო თეთრსახიანო ხალხო. გიუბნებით, მომიტანეთ თქვენი ძმის სხეული და მე მოგცემთ არწივის სხეულს.

ასე მიზნის მიუღწევლად და გინებით გაბრუნდნენ მისგან თეთრკანიანები. მაღალი ფიჭვიდან არწივის კვილი დამცინავად გაისმოდა მათ ყურებში.

* * *

შემაძრწუნებელი უბედურება ეწვია ნუმიპუს ტომს: საშინელი ავადმყოფობა გაჩნდა. მან შეჭამა ხალხის გული და ფილტვები, მისებმა ვერც ჯადოქრობით და ვერც ცეკვებით ვერ შეძლეს განდევნათ ის. შემდეგ დადგა მკაცრი ზამთარი, თოვლითა და შეუუფეტელი წვიმებით. მძაფრი, ყინულოვანი ქარები მძვინვარებდა ზოლტადნენ წყალს. ისინი არ ყეფდნენ ინდოელებს უხეშ, არაზკვიდრ ქოხებს, ისინი ისოდნენ ნავებს ნაპირებზე და ამსხვრევდნენ მათ ნაფოტებად. ავადმყოფობა, გაჭირვება და ტანჯვა, მუდმივი სამგლოვიარო გალობა, მისნების ჩახლეჩილი ხმები, უიმედო მონოტონური ქნევა მოცეკვავეთა ფეხებისა, ირმის ჩლიქებისგან გაკეთებული სატაცურნების ტკაცუნი... ასე ცხოვრობდა ნუმიპუს ტომი ამ საშინელ ზამთარში.

ნუმიპუს სოფელს კვლავ ეწვია ისევ ის ორი თეთრკანიანი, რომლებსაც ისე ძალიან უნდოდათ დაეპირათ არწივი. ისინი პირდაპირ ატისისაკენ გაუბედნენ, რომლის სახლიც თითქმის მთლად [illegible] ბული იყო, რადგან მან დაურიგა ხალხს [illegible] წვეული და საბრბები.

როდესაც თეთრკანიანები შეიჭიდნენ, ატი თითქმის მიმქრალ ცეცხლთან იჯდა გაშტერებული თვალებით, ის მარტოდმარტო იყო: მისი ცოლი და ორი ვაჟი გარდაიცვალნენ ამ საშინელ ზამთარში.

თეთრკანიანებმა თავიდან დაუწყეს ლაპარაკი იმაზე, რამდენ ფულს მისცემდნენ ატისს, თუ ის გადასცემდა მათ არწივს. ცბიერად და ფრთხილად ლაპარაკობდნენ ისინი ნუმიპუს ხალხის ტანჯვაზე, იმაზე, რომ ატისს სურვილზეა ხალხისათვის საკვებისა და ტანსაცმელის შეეძინა. ატისი თვალდაუხამხამებლად შესჩერებოდა ცეცხლს, თითქოს არაფერი ესმოდა. მაგრამ თეთრკანიანებმა იცოდნენ, რომ ბელადი ყურადღებით უსმენდნენ მათ. და ისინი ჰპირდებოდნენ მას, რაც კი ჰქონდათ.

ატიმ ასწია ხელი და თქვა:

— თეთრკანიანები ფლობთ ჯადოქრობას, რაც ჩვენ არ ვიცით. თქვენ გაყავთ მისნები, რომლებსაც შეუძლიათ მოვიდნენ და განკურნონ ჩემი ხალხი?

მონადირეები დაჰპირდნენ ექიმის მოყვანას.

— მისი ჯადოქრობა განკურნავს შენს ხალხს ყოველნაირი ავადმყოფობისაგან, — მიუგეს მათ ატისს.

მაშინ გულგრილი და ჩუმი ხმით დაუწყო ატიმ თეთრკანიანებს ისეთი პირობა, რომელზედაც მორიგება შესაძლებელი იყო. მან დაწვრილებით მიუთითა მათ, რა ნივთები ესაჭიროებოდა არწივის სანაცვლოდ.

ამის გაგონებაზე თეთრკანიანებმა გამხიარულებული სახეებით გადახედეს ერთმანეთს.

— როგორც კი არწივი ჩვენს ხელთ იქნება, ჩვენ მოგცემთ ყველაფერს და უფრო მეტსაც! — წამოიძახეს მათ ერთი ხმით.

მაგრამ ატიმ მოუთმენლად გაიქნია თავი და უფრო მჭიდროდ გაეხვია თავის დახეულ საბანში.

— ჩემ მიერ დასახელებული საგნები უფრო გადაუდებელია, ვიდრე თქვენი სურვილი, თქვა მან. — საბნები და საკვები მე ახლავე მესაჭიროება, რომ გამოვკვებო და გავათბო ჩემი ხალხი. ეი ჩემი უკანასკნელი სიტყვა, შეტს აღარაფერს ვიტყვი. მოიტანეთ აქ ყველაფერი, რასაც დამპირდით, და მოიყვანეთ თქვენი მისანი. იცეკვოს მან თავისი სამკურ-

ნალო ცეცვა და მოარჩინოს გატანჯული ჩემი ხალხი. თუ ამას გააკეთებთ, არწივის სხეული თქვენი იქნება.

თეთრკანიანები მიხვდნენ, რომ ატსის გადაწყვეტილება საბოლოოა. ამიტომ მათ ვერ გაბედეს შედგება და გული გახარებულნი სწრაფად უკან გამოიმართნენ!

ქარი შოლტავდა მათ სახეებს, სიცივე ჩხვლეტდა მათ სხეულს, მაგრამ ისინი არაგითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ყოველივე ამას.

ნუმპიუს ხალხმა გაიგო ატსის გადაწყვეტილება, ისინი მიეცოცდნენ კანკალით და მიჯარდნენ მისი ჯოხის კართან.

— ეს რა ჩაიდინე!—ყვიროდნენ ისინი დამწუხრებული.

— რად მიეცი თეთრკანიანებს ასეთი საშინელი დაპირება? კიდევაც რომ გაგვკურნონ, თეთრკანიანმა მისანმა და კიდევაც რომ გადავრჩეთ ცოცხალნი, სულერთია, ჩვენ მაინც დავიჯვებთინ, რადგან ტოტემის მკვლელობა აკრძალულია! ეს ეწინააღმდეგება ჩვენს უძველეს კანონებს. ყველა ტომი შეგვიძულებს, ჩვენი შვილების შესახებ იტყვიან: „ეი იმათი შვილები, რომლებმაც ულალატეს თავიანთი წმინდა ტოტემს!“

მაგრამ ატსიმ მათ მოღუშული, სრული ტანჯული გამომეტყველებით შეხედა, თუმცა მისი ხმა ბრძილი იყო, როდესაც ის პასუხობდა მათ საყვედურებს.

— ნუ აიმაღლებთ ხმას ჩემს წინააღმდეგ. მე უნდა მოვიქცე ისე, როგორც ამას მიკარნახებს ჩემი გული. არ ვიცი, როგორ გამასამართლებენ იმისათვის, რის გაკეთებასაც მე ვიპირებ. მაგრამ ახლა არ მაქვს სიტყვები, რითაც მე შემეძლოს გავამართლო ჩემი გადაწყვეტილებანი.

ატსის მეტი აღარაფერი უთქვამს და ხალხმაც დატოვა იგი დახეულ საბანში გახვეული. გაჩუმებული იყდა ის ნახევრად ჩამქრალ ცეცხლთან.

* * *

როდესაც სოფელში მოვიდა ექიმი თავისი ყოველის შემძღე ჯადოქრული ყუთით და დაინახა, რა მდგომარეობაში იყო ნუმპიუს ხალხი, თვით თეთრკანიანი ექიმიც გაოცებული დარჩა.

მან მოღუშულად შეხედა სოფელში მოხეტიალე, მკურნალობის შედეგის მოუთმენლად მომლოდინე ორ თეთრკანიან მონადირეს.

— ხელფასის?—შეჰკივრია მათ—არა! მე არ ავიღებ თქვენგან არ-ავითარ ხელფასს! თქვენ ნადირენი ამ საცოდავ ავადმყოფ და უბედურ ინდოელებს ეს სამარცხვინო საქმე!

და ექიმმა დაიწყო მუშაობა. დღე და ღამ მუშაობდა, ცდილობდა შეეჩერებინა ამ საშინელი ავადმყოფობის გავრცელება. მაგრამ, მიუხედავად მისი მოწადინებისა—განეკურნა ყველა ავადმყოფი, მაინც რამდენიმე ადამიანი მოკვდა. მაშინ მისნები გაჯავრდნენ. ისინი, ალბათ, მოჰკლავდნენ თეთრკანიან ექიმს, რომ ატსის მკაცრად არ აეკრძალა ეს მათთვის. მან თქვა:

— თეთრკანიანი მისანი არ ჰბვავს იმ ორს, რომელთაც ეს მოიყვანეს აქ. და თუ ზოგიერთნი [illegible] განის სული უკვე განწირულ სხეულს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დაღამებისას ბოტი უკვე კიოდა მათი სახლების თავზე. მაშასადამე, მათთვის დადგა დრო უკანასკნელი მოგზაურობისა უკუნეთის ქვეყნისაკენ.

თანდათანობით უკან იხევდა ჯიუტი ავადმყოფობა თეთრკანიანი ადამიანის ჯადოქრობის წინაშე. ატსიც არ იბრალებდა თავის თავს. ის ყველაფრით ეხმარებოდა ექიმს, უმეტესად და უძილოდ ატარებდა დროს. ის სიტყვაშეუბრუნებელად აკეთებდა ყველაფერს, რასაც ექიმი უბრძანებდა, თუმცა არც კი ესმოდა მნიშვნელობა ყაიანფერი და თეთრი ბურთულებით სავსე კოლოფებისა, ანდა უცნაური სუნის მქონე მეარე სითხით სავსე ბოთლებისა.

როცა ახალგაზრდა მამაკაცებიდან ზოგიერთები ისე მომაგრდნენ, რომ შეძლეს სიარული, მათ დაიწყეს გამგზავრება მიტოვებული ბადეებით ორაგულებზე სანადირად და მოჰქონდათ სოფელში ორაგულები. ტომი გამხიარულდა და ჯანმრთელობის დაბრუნების სასიამოვნო შეგრძნებაში თანდათან ავიწყდებოდა ის პირქუში ბედი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ემუქრებოდა მას.

მხოლოდ ატსის არ ავიწყდებოდა არაფერი. არაფერი არ დავიწყეს თეთრკანიანმა მონადირეებმაც, რომლებიც მხოლოდ ერთზე, ღვთიურ არწივზე, ფიქრობდნენ.

როგორც კი ავადმყოფობამ იკლო, ისინი ისევ გამოკაცდდნენ ატსისთან დაპირების მოსაგონებლად.

მან, როგორც ყოველთვის, სერიოზულად მოუსმინა მათ და მოკლედ თქვა:

— მე არ დამეიწყნია ჩემი დაპირება. დღეს, საღამოს, კლდის ქვეშ მიიღებთ არწივის სხეულს.

შემდეგ წყნარად, ყოველგვარი აჩქარების გარეშე ამოიღო ბელადების სამსხვერპლო დანა, რომელსაც სახელურზე არწივის სახის გამოსახულება ჰქონდა. სპილენძის დანის წვერი დაფარული იყო მხოლოდ ბელადებისათვის ვასაგები საიდუმლო ნიშნებით. ატსიმ ვასცა ბრძანება, რომ კლდესთან არავინ მისულიყო, სანამ ისინი არ დაინახავდნენ სასიგნალო კოცონს. მას სხვა არაფერი უთქვამს თავისი ხალხისათვის და გაჩუმებული გაემართა პირდაპირ არწივის საცხოვრებლისაკენ. მას შეშინებული სახეებით შესცქეროდნენ. ვერც ერთმა ადამიანმა ვერ გაბედა გაჰყოლოდა უკან.

დაბინდდა. ცივი, ღრუბლებით დაფარული ტყვიისფერი ცა სუდარას დამსგავსებოდა. ინდოელებმა აანთეს ფარხი და დაიწყეს ღარიბული ვახშმის მზადება. მაგრამ მათი სახეები და ფიქრები მიპყრობილი იყო იქით, შორს, შავი ცის ფონზე ბუნდოვნად რომ მოჩანდა ზუბარაზარი კლდე.

უცბად აგიზგიზდა სასიგნალო ცეცხლი. ინდოელების ბრბოში გაისმა შეშინებული, გულამოსკვნილი ტირილი. ისინი დამსგავსებოდნენ ბავშვებს, რომელთაც აჩვენეს საშინელი სანგანი. მაგრამ ისინი და-

ემორჩილნენ ცეცხლის მიწვევას და გაუდგნენ გზას სიბნელეში. თეთრკანიანებიც, რომელთაც არ სურდათ დაგვიანება, გაჰყვნენ მათ უკან.

სასიგნალო ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა. უკვე გამოჩნდა ფერმკრთალი მოხაზულობა წვეტიანი კლდისა. ფიქვების მუქი, მოცეკვავე ჩრდილები გაწოლილიყვნენ თეთრქვიშიან ნაპირზე. ტალღები შხეილით ეხეთქებოდნენ ქვიშნარს. ამ ტალღებზე ისახებოდა მოხტუნავე ალი.

უეცრად გაისმა არწივის კივილი, რომელმაც დაფარა ქარისა და მდინარის ხმაური. კივილი მკვეთრი და მოთხოვნი იყო. ინდოელები შედგნენ გაშეშებულივით და აკანკალდნენ. ქალები ატირდნენ, ეგონათ ტოტემის სულს სურს ჩვენი შეჩვენებაო. მაგრამ უკვე ყველამ დაინახა ბელადი: ის იდგა კოცონთან. მან ანიშნა თავის ხალხს მიახლოებულიყვნენ. და ისინი მიეცოცდნენ ქვითინით, შიშით აკანკალებულნი. ატსი პირდაპირ იდგა და ალის ანარეკლი წითელი შუქი თამაშობდა ძასზე. მის მახლობლად მიწაში ჩარჭობილი ჯოგრი იყო, ჯოგრზე კი ტყავის ღვედებით მიბმული იყო კადონი და კადონზე იჯდა ნუმიპუს ტოტემი, არწივი ტი.

ის იჯდა თავაწეული, თითქოს გაკვირვებული იყო თავისი ძმის უცნაური მოქმედებით. მაგრამ ის მშვიდად იჯდა და არ აშორებდა თავის ქარვისებურ თვალებს ატსის სახეს.

ნუმიპუს ხალხმა გიგო ატსის ხმა, რომელიც სიკვდილის საგალობელს მღეროდა. ხალხმა დაინახა, როგორ ნელა დაიწყო მან სულის ცეკვა, თითქოს თვითონ ემზადებოდა სასიკვდილოდ.

თეთრკანიანები ფურაკად დგნენ და შესაქცეროდნენ. მათ იცოდნენ მხოლოდ ის, რომ დიდი ფრინველი, რომლის შეძენაც მათ ასე ძალიან სურდათ, იყო აქვე, მათთან სულ ახლოს, თითქმის მათ ხელში.

მაგრამ ნუმიპუს ხალხმა, როგორც კი გაიგო საბედისწერო სიმღერა, დაიწყო კვნესა: ინდოელებისათვის გასაგები იყო რიტუალური სიმღერის აზრი. მათ ესმოდათ მიმართვა წმინდა არწივისადმი, მუდარა, რომ მისმა სულმა მონახოს დიდი მამა...

— ო, ტი, ღვთიური ტოტემო, — მღეროდა ატსი, — გაფრინდი დიდ მამასთან და უთხარი მას, რომ მე ამას ჩავდივარ ნუმიპუს ხალხისათვის. უთხარი მას, რომ ჩვენი ხვედრი მძიმეა. შებრალებით შეხედოს მან ჩვენს ხალხს. ისინი მწუხრის შვილები არიან და სიბნელეე ეშვება მათ თავზე.

ატსიმ აღმართა სპილენძის მახვილი. სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ის მშვიდად მჯდომარე არწივს. ინდოელების ბრბოში აკანკალებული შეძრწუნებული ხმები გაისმა, როდესაც დანა აღიმართა, ალაპლაპდა ჰაერში და დაეცა პირდაპირ გულს... ატსისას.

გაისმა ქვითინი, კვნესა, ტირილი. ნუმიპუს ხალხი შეძრწუნებული შეჯგუფდა. თეთრკანიანები კი ხარბად, შეშლილივით ეცნენ არწივს.

ტი არწივმა შეჰკივლა, გაშალა თავისი ძლიერი ფრთები და თითქოს ესმოდა ვინ იყო ჭეშმარიტი დამნაშავე მისი ძმის მკვლელობაში, აღმართა თავისი ძალოვანი სხეული და ეძგერა მათ. თეთრკანიანებმა გაცოფებით დაუწყეს მას ცემა და ცდილობდნენ ფრთებზე ეტაცათ ხელი. მაგრამ ღონიერი ფრინველი კორტნით გლეჯდა მათ ტანსაცმელს, სხეულს, სახეს. ის გაათრევებით ესხმოდა თავს მათ შურისსაძიებლად. ტი, ნუმიპუს ტომის ტოტემი, შურს იძიებდა თავისი ძმის სისხლისათვის.

ბოლოს თეთრკანიანებმა ვეღარ გაუძლეს და გაიქცნენ. მიბორძიკობდნენ, იკეცებოდნენ და კვნესოდნენ ისე, როგორც კვნესოდა წინათ ნუმიპუს ხალხი. ისინი ყვიროდნენ ტკივილისა და ძაწოლისგან.

მაშინ ღვთიურმა არწივმა დაარტყა სამი წრე კოცონის თავზე, შეჯგუფული მოქვითინე ხალხის ირგლივ, თავის ძმის უძრავი სხეულის გარშემო, რომელიც ასე ძალიან უყვარდა მას. მან სამი წრე გააკეთა. დროდადრო აღმოხდომოდა კივილი, რომელშიაც ისმოდა მარტოობის ნაღველი.

სულ უფრო და უფრო მაღლა, ბობოქარი ღამის წყვდიადისაკენ იწევდა ის ყოველი წრის გაკეთებისას და ბოლოს თანდათან დაიმალა, რომ არასოდეს არც ერთ თვალს, არც ინდოელისას და არც თეთრკანიანისას, არ დაენახა ის.

[illegible]ორგმანი ელ.-ისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲐᲠᲛᲘᲔᲦᲔᲑᲘ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ

სიტყვები ი. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲘᲡᲐ

მუსიკა თ. ᲨᲐᲕᲔᲠᲨᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ᲛᲣᲠᲩᲘᲡ ᲬᲔᲛᲘᲗ



მოდიან და თან მღერიან
ფეხებშეუყობილები,
ერთი, ორი, ერთი, ორი,
ფეხებშეუყობილები.

აქეთ-იქით ხელს აქნევენ
წელში გამართულები,
ერთი, ორი, ერთი, ორი,
წელში გაჭართულები.

Я. ПЛЕХАНОВ, 44 П.Я. 87
ГОС ПУБЛ БИБЛ

გასართობი

არითმეტიკული ამოცანა



შეხედეთ ნახატს. ცენტრალურ წრეში დასვით რიცხვი, ხოლო განაპირა წრეები თავისი ციფრებით ისე გადააჯგუფეთ, რომ თვითეულ ხაზზე მყოფ რიცხვთა ჯამი უდრიდეს ოცს.

რომელი ჩაიდანია დიდი

ერთ მშენებლობის მუშას მისმა პრიგადირმა დაავალა ჩასულიყო საწყობში და აერჩია ჩაიდანი ბრიგადისათვის. სთხოვა—აარჩიე შედარებით ყველაზე მეტი ტევადობის მქონეო.

საწყობში მუშას ასარჩევად შესთავაზეს აი ეს ორი ჩაიდანი, რომელიც აქაა ნაჩვენები. როგორც თქვენც ხედავთ, ორივე ერთნაირი სიგანისაა, მხოლოდ ერთი მათგანი მაღალია, მეორე კი დაბალი. მოეხმარეთ მუშას დავალების შესრულებაში, ურჩიეთ რომელი მათგანია უფრო მეტი ტევადობის მქონე.

მოციგურავე

(თავსატეხი)

ერთმა მოციგურავემ, კვადრატულ რუკაზე აღნიშნა 64 წერტილი,

აი, ის დგას ერთ-ერთ კუთხეში ამ კვადრატისა, საიდანაც მან უნდა გაიაროს ყველა ამ 64 წერტილზე, თოთხმეტი პირდაპირი გზით, ისე რომ, უკანასკნელი პირდაპირი გზით ის მივიდეს პირვანდელ ადგილას.

თავისი ამოცანის შესასრულებლად მოციგურავეს შეუძლია თვითეულ წერტილზე გაიაროს რამდენჯერმე.

თქვენც შეეცადეთ ეს ამოცანა გადაჭრათ. მოიხმარეთ ქაღალდი და ფანქარი.